

დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის 03/09 ბრძანებით

შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“

ბათუმი

2019

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის

წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“-ს სტუდენტებისა და პერსონალისათვის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესსა და ინსტრუქციას.
2. ამ წესით გათვალისწინებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“-ს (ს/კ 245599758) (შემდგომში - კლინიკა) მმართველი ორგანოები.
3. წინამდებარე წესი ეფუძნება პაციენტთა უფლებების დაცვის პრინციპს და იგი უნდა განხორციელდეს „ჯანმრთელობის დაცვისა“ და „პაციენტის უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტსა და კლინიკას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი პაციენტის პირველად სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს კლინიკის ექიმი.
2. ამ წესის მიზნებისთვის, პაციენტად განიხილება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი, ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალი, ასევე უნივერსიტეტში კანონიერი საფუძველით მყოფი ნებისმიერი პირი, რომელსაც დასჭირდება პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.
3. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიიდან პაციენტის კლინიკაში მიყვანას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი.
4. თუ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი არ იმყოფება სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, პაციენტის კლინიკაში მიყვანას უზრუნველყოფს ადმინისტრაციის თანამშრომელი.
5. თუ პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, დაუშვებელია მისი ექიმის მეთვალყურეობის გარეშე გადაადგილება, კლინიკა უზრუნველყოფს ექიმის სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოყვანასა და პაციენტის სათანადო წესით ტრანსპორტირებას.
6. სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში გამოკრულია ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტსა და კლინიკას შორის არსებული მემორანდუმისა და კლინიკის საკონტაქტო მონაცემების შესახებ.

7. პირი, პაციენტის უგონო ან/და სხვა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია:
 - ა) დაუკავშირდეს კლინიკას, მოითხოვოს ექიმის სასწავლო უნივერსიტეტში მოსვლა და მიაწოდოს ინფორმაცია პაციენტის მდგომარეობის შესახებ;
 - ბ) გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
 - გ) შეატყობინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის სამსახურს;
 - დ) არ გადაადგილოს დაზარალებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქ დარჩენა სიცოცხლისთვის სახიფათოა;
8. სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის სამსახური, შეტყობინების მიღების შემდეგ ვალდებულია:
 - ა) დაუკავშირდეს კლინიკას, მოითხოვოს ექიმის სასწავლო უნივერსიტეტში მოსვლა და მიაწოდოს ინფორმაცია პაციენტის მდგომარეობის შესახებ;
 - ბ) გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება; აუცილებლობის შემთხვევაში, პოლიცია და სხვა შესაბამისი სამსახური;
 - გ) მივიდეს შემთხვევის ადგილზე და უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ექიმის/სამედიცინო დახმარების მოსვლამდე პაციენტის გადაადგილება;
 - დ) შეატყობინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორს.

მუხლი 3. პაციენტის უფლება-მოვალეობები

1. პაციენტს უფლება აქვს მიიღოს კლინიკისგან პირველადი სამედიცინო დახმარება უსასყიდლოდ.
2. პაციენტს უფლება აქვს კლინიკისგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა.
3. პაციენტს უფლება აქვს კლინიკისგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია „პაციენტის უფლებები“-ს შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საკითხებზე.
4. პაციენტის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და პაციენტის თანხმობის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე მისი მესამე პირისთვის გადაცემა/გამჟღავნება დაუშვებელია.
5. პაციენტი ვალდებულია მიაწოდოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ინფორმაცია დაავადების შესახებ, რომელიც უეცარი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი შეტევის წარმოშობის შესაძლებლობას ითვალისწინებს და საჭიროებს განსაკუთრებულ მეთვალყურეობას.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებებისა და ახალი რედაქციის დამტკიცების უფლება აქვს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს.